სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

აიპ - თანამედროვე ხელოვნების სივრცე

ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი

პრეამბულა

ქ. ბათუმი 17 მაისი, 2017 წელი

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და შემოქმედების ინტეგრირების, ერთობლივი სანახაობითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და აიპ - თანამედროვე ხელოვნების სივრცე თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- თეორიული და საშემსრულებლო მიმართულების სპეციალისტთა მიერ მასტერკლასების, საჯარო ლექციების და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეულ მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას კვლევისა და განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურებს პროფესორები, მასწავლებლები და სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო შემოქმედებითი პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ ურთიერთშეთანხმებით.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით პროექტებს.

1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივი პროექტების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, გავრცელება და სხვა).

1.5. განახორციელებენ ერთობლივ სახელოვნებო-შემეცნებით სემინარებს, კონფერენციებს, ფესტივალებს, გამოფენებს, საკონცერტო წარმოდგენებსა და სხვა პროექტებს.

1.6. აიპ - თანამედროვე ხელოვნების სივრცე საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკის გავლას და კურსდამთავრებულთა სტაჟირებას. ასევე მოხალისე სტუდენტების ჩართვას ყოველწლიურ საერთაშორისო ფოტოფესტივალში „ოდესა-ბათუმი ფოტო დღეები"

1.7. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ყოველწლიურად თანამედროვე ხელოვნების სივრცე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა/ჩვენებას გაუწევს ორგანიზებას

1.8. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები თანამედროვე ხელოვნების სივრცესთან არსებულ კაფე „კონტე"-ში ისარგებლებენ - 10%-იანი ფასდაკლებით, სტუდენტის მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი	**აიპ - თანამდეროვე ხელოვნების სივრცის დირექტორი**
---------- **ე. მესხია**	---------- **ა. ძნელაძე**
საქართველო, ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. № 37 ტ. +995(422) 27-86-67; +995(422) 27-98-95; ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge ვებ.გვ. batu.edu.ge	საქართველო, ბათუმი ზ. გამსახურდიას ქ. № 1/5 ტელ: + 995 593 60-45-95 ელ. ფოსტა: casbatumi@gmail.com ვებ.გვ. www.casbatumi.ge